საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშის მოკლე გზამკვლევი

www.mof.ge

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

თბილისი, 2021 წელი

სარჩევი

რას მოიცავს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში? 3
სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მაკროეკონომიკური მაჩვენებლები 5
ეკონომიკური ზრდა 5
ინფლაცია 5
ლარის გაცვლითი კურსი 5
საგარეო სექტორი 5
ტურიზმი 6
ფულადი გზავნილები 6
„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით
დადგენილი ზღვრულ პარამეტრებთან შესაბამისობა 6
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებლები 8
შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები 8
არაფინანსური აქტივების კლების შესრულების მაჩვენებლები 8
ფინანსური აქტივების კლების შესრულების მაჩვენებლები 8
ვალდებულებების ზრდის შესრულების მაჩვენებლები 8
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მაჩვენებლები 9
ხარჯების შესრულების მაჩვენებლები 10
არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებლები 10
ფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებლები 10
ვალდებულებების კლების შესრულების მაჩვენებლები 10
საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო, ანტიკრიზისული
გეგმის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები
11
სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება მხარჯავი დაწესებულებების
მიხედვით 16

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოკლე გზამკვლევი მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის მიერ

რას მოიცავს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში?

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმები, რომლებსაც მხარჯავი დაწესებულებები საქართველოს ფინანსთა სამინსიტროს წარუდგენენ მათი ბიუჯეტის 3, 6 და 9 თვის შესრულების საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 15 დღის, ხოლო წლიური შესრულების ანგარიშს – წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს 2 თვის ვადაში.

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- თავი I - 2021 წლის 9 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები;
- თავი II - 2021 წლის 9 თვის მაკროეკონომიკური მიმოხილვა;
- თავი III – სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები;
- თავი IV - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება;
- თავი V - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები;
- თავი VI - 2021 წლის 9 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;
- თავი VII - საქართველოს 2021 წლის 9 თვის ცენტრალური ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები და სსიპ/ა(ა)იპ-ის კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები/გადასახდელები;
- ზოგადი ინფორმაცია 9 თვის შესრულების ანგარიშზე;
- ინფორმაცია საქართველოში ახალი კორონავირუსის COVID-19 გავრცელებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ
- ინფორმაცია მთავრობის ვალის შესახებ;
- ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან წინა პერიოდის დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ 2021 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით;
- 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება ფუნქციონალურ ჭრილში;
- 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დონორების დაფინანსებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების შესრულება-პირდაპირი ჩარიცხვები;

- 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დონორების დაფინანსებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების შესრულება;
- მიზნობრივი გრანტები;
- სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა;

აღნიშნული ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე

www.mof.ge[1].

[1] https://mof.ge/5479

სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ეკონომიკური ზრდა

2021 წლის პირველი ნახევრის საშუალო რეალურმა ზრდამ 12.5% შეადგინა.

2021 წლის პირველი ნახევრის ეკონომიკურ აქტივობაში ***ზრდა*** აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში:

- ხელოვნება, გართობა და დასვენება 41.8 %
- წყალმომარაგება, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები 38.6 %,
- ინფორმაცია და კომუნიკაცია 34.5 %,
- საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები 34.4%
- სამთომომპოვებითი მრეწველობა 30.4 %
- ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები 28.9 %
- საბითუმო და საცალო ვაჭრობა 28.6 %

კლება დაფიქსირდა შემდეგ დარგებში:

- ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები 18.9 %
- განათლება 3.6 %

ინფლაცია

2021 წლის სექტემბერში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაცია) 12.3 % შეადგინა, ამავე პერიოდისათვის, საშუალო ინფლაცია 7.1 % დონეზეა.

ლარის გაცვლითი კურსი

2021 წლის სექტემბერში 2020 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 4.7 % გამყარდა და 3.12 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების გაცვლით კურსებთან, გამყარდა 7.0 %.

საგარეო სექტორი

2021 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 10 009.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 22.3% -ით მეტია; აქედან ექსპორტი 2 981.3 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (24.0% - ით მეტი), ხოლო იმპორტი 7 028.4 მლნ აშშ დოლარს (21.6 % - ით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2021 წლის იანვარ-სექტემბერში 4 047.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ტურიზმი

2021 წლის იანვარ-სექტემბერში, საქართველოს 1 301 ათასი საერთაშორისო ვიზიტორი[2] ეწვია (2020 წლის ცხრა თვის მონაცემებით, ვიზიტორების რაოდენობა 1 598 ათასს შეადგენდა), რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემზე 18.5%-ით ნაკლებია.

ვიზიტორთა რაოდენობა ქვეყნების მიხედვით შემდეგია:

- ✓ უკრაინა (114.6 ათასი კაცი, 195.7%-იანი ზრდა);
- ✓ ევროკავშირი (98.2 ათასი კაცი, 49.3%-იანი ზრდა);
- ✓ ისრაელი (65.4 ათასი კაცი, 158.5%-იანი ზრდა);
- ✓ თურქეთი (225.5 ათასი კაცი, 19.2%-იანი კლება);
- ✓ რუსეთი (142.0 ათასი კაცი, 27.6%-იანი კლება);
- ✓ სომხეთი (107.5 ათასი კაცი, 54.0%-იანი კლება);

ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 865.7 მლნ აშშ დოლარი[3] შეადგინა, რაც 73.5 %-ით მეტია (366.6 მლნ აშშ დოლარით მეტი) გასული წლის მაჩვენებელზე.

ფულადი გზავნილები

2021 წლის იანვარ-სექტემბერში წმინდა ფულადი გზავნილები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 28.2%- ით გაიზარდა და 1 484.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

წმინდა ფულადი გზავნილების მოცულობა ქვეყნების მიხედვით შემდეგია:

- ✓ იტალია (278.4 მლნ აშშ დოლარი, 32.5%-იანი ზრდა);
- ✓ რუსეთის ფედერაცია (235.8 მლნ აშშ დოლარი, 17.8%-იანი ზრდა);
- ✓ აშშ (207.6 მლნ აშშ დოლარი, 36.0%-იანი ზრდა);
- ✓ საბერძნეთი (171.6 მლნ აშშ დოლარი, 13.4%-იანი ზრდა);
- ✓ თურქეთი (30.5 მლნ აშშ დოლარი, 29.1%-იანი კლება).

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ზღვრულ პარამეტრებთან შესაბამისობა

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდების ზღვრული მოცულობა შეადგენს არაუმეტეს 3%-ს. COVID-19 გამოწვეული კრიზისის გათვალისწინებით 2021 წლის სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დაიგეგმა, ორგანული კანონით განსაზღვრულ ზღვარს მიღმა - 6.9%-ის ფარგლებში (განახლებული პროგნოზით 6.8%). საანგარიშო პერიოდში

[2] წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
[3] წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა (-2 338.6) მლნ ლარი, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 4.0 %-ია.

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი საქართველოს მთავრობის ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდების ზღვრული მოცულობა შეადგენს არაუმეტეს 60%-ს. საანგარიშო პერიოდის საქართველოს მთავრობის ვალის ზღვრულმა მოცულობამ შეადგინა მთლიანი შიდა პროდუქტის 49.5%. ამასთან, ვინაიდან საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება (2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) განისაზღვრა მთლიანი შიდა პროდუქტის 0.7%-ით, ჯამურად ეს ვალდებულებები მშპ-ის 50.2%-ს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებლები

შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	9 თვის გეგმა	9 თვის ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**8 959 992,3**	**8 996 209,6**	**36 217,3**	**100,4**
გადასახადები	8 020 336,0	8 086 134,0	65 798,0	100,8
გრანტები	328 324,0	312 867,0	-15 457,0	95,3
სხვა შემოსავლები	611 332,3	597 208,6	-14 123,7	97,7

არაფინანსური აქტივების კლების შესრულების მაჩვენებლები

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 161 837.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (161 389.3 ათასი ლარი) 100.3%-ია.

ფინანსური აქტივების კლების შესრულების მაჩვენებლები

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 81 584.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (100 669.3 ათასი ლარი) 81.0%-ია.

ვალდებულებების ზრდის შესრულების მაჩვენებლები

ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 3 651 800.0 ათასი ლარი, მათ შორის:

- (-644 976.7) ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;
- 956 793.2 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;
- 1 626 843.1 ათასი ლარი - ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები;
- 1 713 140.5 - ევრობონდები;

ვალის მომსახურება და დაფარვა

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფოს მიერ ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე მიიმართა 3 073.9 მლნ ლარი, მათ შორის:

- საგარეო ვალდებულებები - 2 660.6 მლნ ლარი
  - ✓ მომსახურება - 216.8 მლნ ლარი;
  - ✓ დაფარვა - 2 443.8 მლნ ლარი;
- საშინაო ვალდებულები - 413.3 მლნ ლარი;
- მომსახურება - 381.3 მლნ ლარი;
- დაფარვა - 32.0 მლნ ლარი;

➢ სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მაჩვენებლები

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი დამტკიცდა გასული წლის დეკემბერში, თუმცა საანგარიშო პერიოდში „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები თავდაპირველ ბიუჯეტთან შედარებით გაიზარდა 1 114 239.0 ათასი ლარით და განისაზღვრა 19 498 746.8 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 14 868 800.2 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 14 459 068.6 ათასი ლარი. საკასო შესრულება კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის 97.2%, ხოლო წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის - 74.2%-ია.

საქართველოს 2019-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების წლიური, კვარტლის გეგმიური და საკასო მაჩვენებლები (ათას ლარებში)



ხარჯების შესრულების მაჩვენებლები

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 13 851 677.2 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 10 360 954.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 9 975 389.2 ათასი ლარი, რაც კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის 96.3%-ია, ხოლო წლიური დაზუსტებული მაჩვენებლის - 72.0%-ია (დამტკიცებული მაჩვენებლის - 71.8%-ია).

2021 წლის 9 თვის ხარჯების სტრუქტურა (საკასო შესრულება)



არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებლები

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 2 573 280.3 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 766 002.5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ - 1 747 747.2 ათასი ლარი, რაც კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის 99.0%-ია, ხოლო წლიური დაზუსტებული მაჩვენებლის - 67.9%-ია (დამტკიცებული მაჩვენებლის -68.6%-ია).

ფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებლები

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 318 411.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 240 465.0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ - 235 845.6 ათასი ლარი, რაც კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის 98.1%-ია, ხოლო წლიური დაზუსტებული მაჩვენებლის - 74.1%-ია (დამტკიცებული მაჩვენებლის - 74.4%-ია).

ვალდებულებების კლების შესრულების მაჩვენებლები

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 2 755 378.2 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 2 501 378.2 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ - 2 500 086.6 ათასი ლარი, რაც კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ია, ხოლო წლიური დაზუსტებული მაჩვენებლის - 90.7%-ია (დამტკიცებული მაჩვენებლის - 91.4%-ია).

➢ საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო, ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები

მლნ ლარი

ღონისძიება	თანხა
ჯანმრთელობის დაცვის მიმართულება	**764.5**
მათ შორის, COVID-19-ის ვაქცინაზე ხელმისაწვდომობა	*149.7*
მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯები	**369.1**
სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ფულადი დახმარება/ კომპენსაცია	74.9
შშმ პირებისათვის ფულადი დახმარება/კომპენსაცია	27.3
ფულადი დახმარება/კომპენსაცია დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირებისათვის	148.3
ახალი კორონავირუსიდან გამომდინარე მოსახლეობის კომუნალური გადასახადების და გაზრდილი ტარიფის სუბსიდისიდირება	118.6
ბიზნესის მხარდაჭერა	**314.3**
საშემოსავლო გადასახადის შეღავათი	225.6
სამშენებლო სექტორის ხელშეწყობა	8.8
მცირე, საშუალო და საოჯახო სასტუმრო/სარესტორნო ინდუსტრიის ხელშეწყობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება[4]	7.6
საკრედიტო-საგარანტიო სქემა*[5]	32.5
მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა - მცირე გრანტები	14.3
პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების სახელმწიფო პროგრამა	16.7
2021 წლის განმავლობაში სურსათის მწარმოებლებისთვის ელექტრონერგიაზე ტარიფის ზრდის 50%-ის სუბსიდირება	6.6
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა	2.1
სულ	**1,447.8**

- ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებიდან გამომდინარე, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმების შემუშავებისა და მართვის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და სსიპ-ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ ყველა შესაბამის სახელმწიფო უწყებასთან

[4] 7.6 მლნ ლარი მიმართულია სსიპ - აწარმოე საქართველოში სააგენტოს საკუთარი შემოსულობების ანგარიშიდან;

[5] 14.8 მლნ ლარი დაფარულია 2020 წლის ბოლოს სსიპ - აწარმოე საქართველოში სააგენტოს საკუთარი შემოსულობების ანგარიშზე „სახელმწიფო პროგრამის „საკრედიტო საგარანტიო სქემის" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის N163 დადგენილებით აღებული ვალდებულების შესასრულებლად ჩარიცხული თანხებიდან;

კოორდინაციით და აგრეთვე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქვეყანაში „COVID – 19“-ის მასიური გავრცელების რისკების შემცირებისა და თავიდან აცილების რიგი ღონისძიებები, მათ შორის შესყიდულ იქნა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, კორონავირუსის სადიაგნოსტიკო ტესტები, განხორციელდა საკარანტინე სივრცეების სასტუმრო მომსახურება/სამედიცინო მეთვალყურეობა, საკარანტინე სივრცეების სამედიცინო პერსონალით და პირველადი სამედიცინო დანიშნულების საგნებით/მედიკამენტებით უზრუნველყოფა, საექვო და დადასტურებელი შემთხვევის მართვა და პაციენტების სტაციონარული მკურნალობა (საკარანტინე სივრცეების სასტუმრო მომსახურება გაეწია 14.0 ათასზე მეტ ბენეფიციარს), საანგარიშო პერიოდში შესყიდულია 4 483.5 ათასამდე დოზა ვაქცინა, ხოლო ფიზიკურად ქვეყანაში შემოვიდა 3 483.5 ათასი დოზა (მათ შორის, 723.1 ათასი დონაციის სახით). სულ ზემოაღნიშნული მიზნებისათვის საანგარიშო პერიოდში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხაზით მიმართულ იქნა 719.9 მლნ ლარი;

- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ვაქცინაციის წამახალისებელი კამპანიის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს მოქალაქეების (16 წლის ასაკიდან) წახალისება, ლატარიის „აიცერი და მოიგე“ გათამაშების დაფინანსება. აღნიშნული ღონისძიების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 848.4 ათასი ლარი;
- სსიპ - ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ სავალდებულო კარანტინის ფარგლებში განახორციელა 33.8 ათასი პირის (საქართველოს მოქალაქეები (მათ შორის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მაღალი რისკის ზონად ნომინირებული არეებიდან შემოსული საქართველოს მოქალაქეები) და უცხო ქვეყნის მოქალაქეები) განთავსებასთან, ტრანსპორტირებასთან, კვებასთან, დასუფთავებასთან, უსაფრთხოებასა და საკარანტინო პერიოდში შესაბამისი პირობების შექმნასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ღონისძიებები. სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 17.1 მლნ ლარი;
- ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი: მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი ოჯახები, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირები, ინდივიდუალური მეწარმეები და გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირები) ფულადი დახმარების/კომპენსაციის დაფინანსება:
  - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული, 65 000-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვის – ოჯახის წევრზე 35 ლარის (ერთწევრიანი ოჯახისთვის – 70 ლარის, ორწევრიანი ოჯახისთვის – 90 ლარის; საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 254.9 ათასზე მეტმა პირმა); სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული, 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვის, რომელთაც ჰყავთ 3 ან 3-ზე მეტი 16 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვი, ოჯახზე 100 ლარის ოდენობით (6 თვე, საანგარიშო

პერიოდში ისარგებლა 172.4 ათასზე მეტმა პირმა). სულ საანგარიშო პერიოდში მიიმართა 74.9 მლნ ლარი;

- მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, თვეში 100 ლარის ოდენობით (6 თვე, საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 45.9 ათასზე მეტმა პირმა). სულ მიიმართა 27.3 მლნ ლარი;
- დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირებისთვის ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობით (6 თვე, საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 139.6 ათასზე მეტმა პირმა). სულ მიმართული თანხა 148.0 მლნ ლარი;
- ინდივიდუალური მეწარმეებისა და გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირებისთვის, ერთჯერადი დახმარების სახით 300 ლარის ოდენობით განსაზღვრული დახმარება გაიცა 1 233 პირზე, სულ მიმართული თანხა 369.9 ათასი ლარი;

- ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო 2021 წელს გაგრძელდა მოსახლეობის სოციალური დახმარება კომუნალური გადასახადების სუბსიდირებით, კერძოდ: ელექტროენერგიის 200 კილოვატ/საათი ან 200 კილოვატ/საათზე ნაკლები მოცულობის, ბუნებრივი გაზის 200 $მ^3$ ან 200 $მ^3$-ზე ნაკლები მოცულობის, სასმელი წყლის/წყალარინების და დასუფთავების მოსაკრებლის გადასახადის სუბსიდირება (იანვარ - თებერვალი). გარდა ამისა, განხორციელდა 2021 წლის იანვრიდან ელექტროენერგიაზე გაზრდილი ტარიფის სუბსიდირება (იანვარ - აგვისტო) საყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის ტარიფის ზრდის სრული ოდენობით 200 კილოვატ/საათზე მეტ, მაგრამ არა უმეტეს 301 კილოვატ/საათის მოცულობაზე. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მიზნებისთვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მიმართულ იქნა სულ 118.6 მლნ ლარი (მათ შორის: კომუნალური გადასახადების სუბსიდირება - 83.2 მლნ ლარი; ელექტროენერგიაზე გაზრდილი ტარიფის სუბსიდირება - 35.4 მლნ ლარი);
- საქართველოს საჯარო სკოლებისათვის დარიგებულია 2.9 მლნ ერთეული პირბადე და 106.1 ათასი ერთეული (5 ლიტრიანი) ხელის სადეზინფექციო საშუალება. ასევე, საჯარო სკოლებში განსახორციელებელ სადენზიფექციო სამუშაოებთან დაკავშირებით შეძენილია 15.2 ათასი ლიტრი სადენზიფექციო კონცენტრატი (იატაკის). შესყიდულია 10.0 ათასი ცალი უკონტაქტო ელექტრო თერმომეტრი, 3.0 ათასი ერთეული დისპანსერი და 1.8 ათასი ცალი დეზობარიერი;
- ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის COVID – 19-ით ინფიცირებული ავადმყოფების დახმარების აღმოჩენის მიზნით, განხორციელდა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე პაციენტების გადმოყვანა და მკურნალობა. საანგარიშო პერიოდში 350-მდე კოვიდ - ინფიცირებულ ადამიანს გაეწია სამედიცინო მომსახურება; ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობაზე გავრცელდა კოვიდ-საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროგრამა;
- COVID - 19 პანდემიის შედეგების შემსუბუქების მიზნით, სოციალური დახმარების ფაგლებში, საოკუპაციო ხაზთან მდებარე კონფლიქტით დაზარალებულ ობოლ და შშმ ბავშვებს გადაეცათ ჰიგიენური საშუალებებისა და საკვები პროდუქტების 322 კალათა;
- საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით, აფხაზეთის რეგიონს მიეწოდა საჭირო სამედიცინო საშუალებები, მათ შორის სწრაფი ტესტები, იმუნიზაციის ვაქცინები,

დიაბეტის წამლები, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ანტიბიოტიკები და აივ/შიდსის საწინააღმდეგო მედიკამენტები;

- ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებიდან გამომდინარე ეკონომიკის წინაშე არსებული ახალი გამოწვევების საპასუხოდ 2021 წლის ბოლომდე გაგრძელდა გარდამავალი პირობები ბიზნესის მხარდაჭერის არსებულ პროგრამაში - საკრედიტო საგარანტიო სქემა. აგრეთვე, გაგრძელდა სამშენებლო სექტორის ხელშეწყობის პროგრამა და შემუშავდა ბიზნესის ხელშეწყობის დამატებითი ეფექტური მექანიზმები სარესტორნო ინდუსტრიის მიმართულებით. დაემატა სპორტული ობიექტებისა და საბავშვო ბაღების ხელშემწყობი პროგრამა. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული პროგრამების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
    - სამშენებლო სექტორის ხელშემწყობი პროგრამის ფარგლებში 4 510 ბენეფიციარის პროცენტის სუბსიდირებისათვის კომერციულ ბანკებში გადაირიცხა 8.8 მლნ ლარი;
    - მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 689 ბენეფიციარი და თანადაფინანსების თანხამ შეადგინა 14.3 მლნ ლარი;
    - საკრედიტო-საგარანტიო სქემის ფარგლებში ბენეფიციარებზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, 2020 წლის ბოლოს სსიპ - აწარმოე საქართველოში სააგენტოს საკუთარი შემოსულობების ანგარიშზე „სახელმწიფო პროგრამის „საკრედიტო საგარანტიო სქემის" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის N163 დადგენილებით აღებული ვალდებულების შესასრულებლად ჩარიცხული თანხებიდან, საანგარიშო პერიოდში კომერციული ბანკების მიერ აღნიშნული ხელშეკრულებების მიხედვით გაცემული ტრანშების შესამისად განხორციელდა საგარანტიო თანების განთავსება დეპოზიტებზე 60 ბენეფიციარისათვის 14.8 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებებიდან - 87 ბენეფიციარისათვის 17.7 მლნ ლარის ოდენობით;
    - ყველაზე მეტად დაზარალებული ტურიზმის სექტორის მხარდაჭერისა და გაჯანსაღებისათვის მცირე, საშუალო და საოჯახო სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობის მიმართულებით 14 ბენეფიციარისათვის კომერციულ ბანკებში გადაირიცხა 0.1 მლნ ლარი. აგრეთვე, ღონისძიების ორგანიზების ინდუსტრიის მხარდაჭერის მიმართულებით 12 ბენეფიციარისათვის კომერციულ ბანკებში გადაირიცხა 1.8 მლნ ლარი, სარესტორნო ინდუსტრიის ხელშეწყობის მიმართულებით - 385 ბენეფიციარისათვის 4.5 მლნ ლარი, ხოლო სპორტული ობიექტების და საბავშვო ბაღების ხელშეწყობის პროგრამის მიმართულებით - 63 ბენეფიციარისათვის 1.2 მლნ ლარი. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მიზნებისთვის მიმართულ იქნა სულ 7.6 მლნ ლარი სსიპ - აწარმოე საქართველოში სააგენტოს საკუთარი შემოსულობების ანგარიშიდან;
- საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანია პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე არსებული საცალო სარეალიზაციო ფასების შენარჩუნება, ხელშეკრულება გაფორმდა 8 კომპანიასთან, ხელშეკრულებით განსაზღვრული დასასუბსიდირებელი ფქვილის მოცულობამ შეადგინა 50.0 ათასი ტონა. საანგარიშო პერიოდში მიმართული იქნა 16.7 მლნ ლარი;
- საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა

ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული იქნა 12 638 ფერმერი, შესაბამისად ბარათზე დარიცხული ქულების/სუბსიდიის თანხიდან ათვისებული სუბსიდიის ოდენობამ შეადგინა 2.1 მლნ ლარი;

- საანგარიშო პერიოდში სურსათის მწარმოებლებისთვის ელექტრონერგიაზე ტარიფის ზრდის 50%-ის სუბსიდირების მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხაზით მიმართული იყო 6.6 მლნ ლარი;
- საანგარიში პერიოდში 225.6 მლნ ლარი საშემოსავლო გადასახადის შეღავათის (ხელფასის პირველი 750 ლარზე) სარგებელი მიიღო ბიზნესმა იმ დამსაქმებელებზე, რომელთა ხელფასიც არ აღემატება 1500 ლარს, ხოლო სულ 2020 წლის მაისიდან - 542.1 მლნ ლარზე მეტი.

➢ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის დამტკიცებული გეგმა	2021 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა	2021 წლის 9 თვის ფაქტი	შესრულება წლიურ გეგმასთან	შესრულება კვარტალურ გეგმასთან
სულ ჯამი	**19,498,746.8**	**14,868,800.2**	**14,459,068.6**	**74.2%**	**97.2%**
სამინისტროები	**13,959,294.0**	**10,441,383.6**	**10,207,745.8**	**73.1%**	**97.8%**
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	88,900.0	78,963.0	64,888.6	73.0%	82.2%
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	642,815.0	468,127.3	396,276.8	61.6%	84.7%
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2,456,630.0	1,611,817.0	1,676,758.1	68.3%	104.0%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	296,500.0	215,524.7	183,466.7	61.9%	85.1%
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	6,092,964.0	4,733,710.4	4,641,339.9	76.2%	98.0%
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	170,700.0	133,191.8	122,725.6	71.9%	92.1%
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	930,000.0	802,589.6	769,214.1	82.7%	95.8%
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	780,000.0	588,800.0	574,382.5	73.6%	97.6%
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	628,575.0	464,080.0	447,829.6	71.2%	96.5%
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	1,872,210.0	1,344,579.7	1,330,863.8	71.1%	99.0%
სხვა უწყებები	**5,539,452.8**	**4,427,416.6**	**4,251,322.8**	**76.7%**	**96.0%**
საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	64,736.0	49,359.4	38,148.4	58.9%	77.3%
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	6,250.0	5,533.2	4,664.1	74.6%	84.3%
საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	700.0	525.5	413.2	59.0%	78.6%
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	16,000.0	16,354.5	14,825.7	92.7%	90.7%
სახელმწიფო აუდიტის სამსახური	16,811.0	13,169.5	10,885.1	64.7%	82.7%
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	74,455.8	46,180.1	40,314.0	54.1%	87.3%
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	4,250.0	3,215.5	2,728.4	64.2%	84.9%
საქართველოს უზენაესი სასამართლო	12,500.0	9,577.5	7,403.5	59.2%	77.3%
საერთო სასამართლოები	86,000.0	53,868.0	48,913.4	56.9%	90.8%
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	6,500.0	5,205.0	3,075.0	47.3%	59.1%
სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	890.0	668.0	584.8	65.7%	87.5%
სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	680.0	490.0	443.2	65.2%	90.5%
სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ქიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	790.0	605.8	486.9	61.6%	80.4%

დასახელება	2021 წლის დამტკიცებული გეგმა	2021 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა	2021 წლის 9 თვის ფაქტი	შესრულება წლიურ გეგმასთან	შესრულება კვარტალურ გეგმასთან
სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	760.0	573.0	510.5	67.2%	89.1%
სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	650.0	477.5	439.1	67.6%	92.0%
სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	640.0	487.5	426.6	66.7%	87.5%
სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	650.0	490.0	461.7	71.0%	94.2%
სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	880.0	680.0	640.0	72.7%	94.1%
სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	660.0	507.0	449.1	68.0%	88.6%
საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	137,500.0	107,391.0	97,300.6	70.8%	90.6%
სსიპ - საპენსიო სააგენტო	3,400.0	3,400.0	3,372.7	99.2%	99.2%
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	2,550.0	1,972.8	1,728.3	67.8%	87.6%
საქართველოს პროკურატურა	41,400.0	30,810.0	29,190.2	70.5%	94.7%
საქართველოს დაზვერვის სამსახური	13,800.0	10,400.0	10,103.4	73.2%	97.1%
სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1,400.0	1,050.5	1,515.3	108.2%	144.2%
სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	7,300.0	5,604.0	5,178.6	70.9%	92.4%
სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	7,900.0	6,432.5	5,855.1	74.1%	91.0%
სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	2,150.0	1,666.0	1,615.9	75.2%	97.0%
ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	260.0	198.5	187.1	72.0%	94.3%
საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	60,400.0	46,163.0	44,341.5	73.4%	96.1%
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	8,500.0	5,851.0	4,105.1	48.3%	70.2%
სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	69,200.0	51,900.0	52,268.9	75.5%	100.7%
სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო	2,400.0	2,266.8	1,534.7	63.9%	67.7%
ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	2,460.0	1,935.0	1,803.4	73.3%	93.2%
საქართველოს საპატრიარქო	25,000.0	20,673.5	18,698.6	74.8%	90.4%
სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	7,000.0	5,700.0	3,914.8	55.9%	68.7%
სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	10,120.0	7,821.2	7,233.8	71.5%	92.5%

დასახელება	2021 წლის დამტკიცებული გეგმა	2021 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა	2021 წლის 9 თვის ფაქტი	შესრულება წლიურ გეგმასთან	შესრულება კვარტალურ გეგმასთან
სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	4,250.0	3,192.7	2,992.6	70.4%	93.7%
საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	1,430.0	1,298.0	988.3	69.1%	76.1%
სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	5,330.0	4,125.0	4,096.5	76.9%	99.3%
სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური	9,000.0	7,036.5	5,069.8	56.3%	72.0%
სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	450.0	337.5	326.7	72.6%	96.8%
სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო	250.0	192.0	160.2	64.1%	83.5%
სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო	4,200.0	2,837.5	2,183.8	52.0%	77.0%
ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი	2,700.0	2,113.3	1,701.9	63.0%	80.5%
სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი	0.0	0.0	764.1	#DIV/0!	#DIV/0!
ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი	0.0	0.0	64.4	#DIV/0!	#DIV/0!
საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	**4,814,300.0**	**3,887,081.5**	**3,767,213.3**	**78.3%**	**96.9%**
საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	3,028,000.0	2,662,230.0	2,660,612.9	87.9%	99.9%
საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	570,000.0	415,000.0	413,268.9	72.5%	99.6%
ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ტრანსფერები	226,000.0	379,215.3	355,157.5	157.1%	93.7%
დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები	219,900.0	187,600.0	154,162.5	70.1%	82.2%
სხვა დანარჩენი ხარჯები	770,400.0	243,036.2	184,011.5	23.9%	75.7%